საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №14

ქ. თბილისი **29.08.2016**

სხდომას ესწრებოდნენ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს (შემდგომში საბჭო) წევრები:
ნათელა სახოკია - ა(ა)იპ - სტრატეგიულ გამოკვლევათა ინსტიტუტის დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სხდომის თავმჯდომარე;
თუთა ნარმანია - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი, საბჭოს მდივანი;
თამარ ბრეგვაძე - ა(ა)იპ - კავშირი განათლების პოლიტიკის დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტის (EPPM) მთავარი მკვლევარი;
ლევან გორდეზიანი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
ელიზბარ ელიზბარაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის პროფესორი, საერთო საუნივერსიტეტო ლაბორატორიული ცენტრის დირექტორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) თანამშრომლები:

ლაშა მარგიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ლევან მადათოვი - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს უფროსი;
ანა ლელაძე - საერთაშორისო აკრედიტაციისა და ავტორიზაციის სამმართველოს სპეციალისტი;
ქეთევან ინანაშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

ეკატერინე სუხიშვილი - შპს სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტი;
კონსტანტინე ჩოკორაია - შპს სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტი;
ვახტანგ მაისაია - შპს სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტი;
ნუგზარ სხირტლაძე- შპს კავკასიის უნივერსიტეტი;
სერგი კაპანაძე - შპს კავკასიის უნივერსიტეტი;
დავით ნატროშვილი - შპს კავკასიის უნივერსიტეტი;
ნათია კალაძე - შპს საქართველოს უნივერსიტეტი;
არჩილ ჯანგირაშვილი - შპს საქართველოს უნივერსიტეტი;
ხათუნა ბარბაქაძე - შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედი;
ლელა აფციაური - შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედი;
ქეთევან პავლიაშვილი - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
მაია გრძელიძე - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
ირინა ფხაკაძე - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
ნანა შარაბიძე - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
ირინე გოცირიძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი;
სერგო დადუნაშვილი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი.

6-1

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტები (შემდგომში ექსპერტები):
გიორგი გვალია;
ნანა საგინაშვილი;
თინათინ ჭინჭარაული;
თამარ გაიხარაშვილი;
ია ნაცვლიშვილი;
მანანა ხაჩიძე;
მარიამ დარბაიძე;
ნინო ღაღანიძე;
ნატო გენგიური;
ფიქრია ვარდოსანიძე;
ეკატერინე ბაკარაძე;
დარეჯან გარდავაძე.

საბჭოს სხდომა დაიწყო 10:45 საათზე.

სხდომას არ ესწრებოდა საბჭოს თავმჯდომარე, შესაბამისად სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, ნათელა სახოკიამ.

სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების 26-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. მდივანმა საბჭოს წევრებს მიუთითა ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების 28-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

სხდომის თავმჯდომარემ წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. შპს სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს კავკასიის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს კავკასიის უნივერსიტეტის კლინიკური ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. შპს საქართველოს უნივერსიტეტის გამოყენებითი ფსიქოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.
5. შპს საქართველოს უნივერსიტეტის ამერიკათმცოდნეობის დამატებითი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6. შპს თბილისის სასწავლო უნივერსიტეტ გეომედის ჯანდაცვის მენეჯმენტის დამატებითი პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
7. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისა და სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიოსამედიცინო ინჟინერიის ერთობლივი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

6-16

8. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფია-რელიგიის კვლევების სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
9. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფია-რელიგიის კვლევების სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
10. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოდის დიზაინის დამატებითი პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
11. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინტერიერისა და ტექსტილის დიზაინის დამატებითი პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
12. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის კონსტრუირებისა და ტექნოლოგიის დამატებითი პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
13. შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
14. შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტის სამართლის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

საბჭომ ერთხმად დაამტკიცა სხდომის დღის წესრიგი.

Ნ.ს.

1. შპს სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა
პროგრამის დასახელება: საერთაშორისო ურთიერთობები
განათლების საფეხური: ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: სოციალურ მეცნიერებათა ბაკალავრი საერთაშორისო ურთიერთობებში
სწავლების ენა: ქართული
კრედიტების რაოდენობა: 240

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისათვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები საბჭოს წარუდგინა ექსპერტმა გიორგი გვალიამ.

- პროგრამის ინტერნაციონალიზაცია: სასურველი იყო აქტიური მუშაობა პროგრამის ინტერნაციონალიზაციის კუთხით, საერთაშორისო მემორანდუმები, ერასმუს+ -ის პროექტებში ჩართვა;
- სასწავლო კურსში აშშ-ს თავდაცვისა და უსაფრთხოების სისტემა, პროგრამის ხელმძღვანელებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ აპირებდნენ მოდულებში ახალი კურსების დამატებას, მათ შორის რუსეთის საგარეო პოლიტიკა და თურქეთის საგარეო პოლიტიკა, არსებული სილაბუსის შინაარსის გათვალისწინებით, სასურველი იყო აღნიშნული სალექციო კურსი შეცვლილიყო აშშ-ს საგარეო პოლიტიკით;
- სასწავლო კურსის დიპლომატია და პრაქტიკა, სასურველი იყო სალექციო კურსის ძირითად ლიტერატურას დამატებოდა ვენის კონვენცია დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ და ვენის კონვენცია საკონსულო ურთიერთობების შესახებ;
- სასურველი იყო პროგრამა უფრო მეტად გამდიდრებულიყო ინგლისურენოვანი სახელმძღვანელოებით;
- სასწავლო კურსი „საერთაშორისო ურთიერთობების ისტორია" ფარავდა მსოფლიო ისტორიის ძალიან ვრცელ პერიოდს. სასურველი იყო კურსში შესასწავლი თემატიკა შემცირებულიყო, სხვა შემთხვევაში წარმოუდგენელი იყო შეთავაზებული ვრცელი თემატიკის ერთი კურსის ფარგლებში შესწავლა.

ნ. ...

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები გათვალისწინებული იქნა, მოხდა საერთაშორისო ურთიერთობების სილაბუსების ფორმატირება, ასევე ყურადღება გამახვილდა თეორიულ სკოლაზე, რაც შეეხებოდა უცხოენოვან ლიტერატურას, პროგრამა გამდიდრებული იქნა ინგლისურენოვანი ლიტერატურით. პროგრამის ინტერნაციონალიზაციის გაზრდის მიზნით დაწესებულება თანამშრომლობდა პოლონეთის, რუმინეთის, სირიის და თურქეთის უნივერსიტეტებთან.

პროგრამაში ჩადებული იყო რეგიონმცოდნეობის მიმართულება, სადაც დამატებული იქნა ამერიკათმცოდნეობა, ხოლო დიპლომატიის პრაქტიკაში ჩადებულ იქნა ვენის კონვენცია.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა ვის სახელს ატარებდა უნივერსიტეტი და ვინ იყო სუხიშვილი.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ უნივერსიტეტი დაფუძნებული იყო ვალერი სუხიშვილის მიერ რომელიც გახლდათ პროფესორი სოფლის მეურნეობის დარგში, თავდაპირველად დაწესებულება ატარებდა მცირე აკადემიის სახელწოდებას, ხოლო მას შემდეგ რაც გაიარეს ავტორიზაცია გადაწყვიტეს სახელწოდების შეცვლა ვინაიდან თბილისში არსებობდა სასწავლო დაწესებულება მცირე აკადემია, რომელიც მათი სახელით იღებდა სტუდენტებს.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა თუ რამდენი სტუდენტის მიღება იგეგმებოდა პროგრამაზე.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ იგეგმებოდა 20-30 სტუდენტის მიღება, სტუდენტების მიღება იგეგმებოდა 2017 წლიდან.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 4
წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილებას მხარი არ დაუჭირა ნათელა სახოკიამ.

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის № 65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

6.16

2. შპს კავკასიის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა
პროგრამის დასახელება: საერთაშორისო ურთიერთობები
განათლების საფეხური: დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი
სწავლების ენა: ქართული
კრედიტების რაოდენობა: 180

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისათვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები საბჭოს წარუდგინა ექსპერტმა გიორგი გვალიამ.

- პროგრამაზე მიღების ერთ-ერთ წინაპირობას წარმოადგენდა ინგლისური ან ფრანგული ენის შესაბამის დონეზე ფლობა. საგულისხმო იყო, რომ პროგრამაში წარმოდგენილი სილაბუსები სრულად ეფუძნებოდა ინგლისურენოვან მასალას. შესაბამისად, თუ მოხდებოდა პროგრამაზე ფრანგულენოვანი სტუდენტის ჩარიცხვა, ის ვერ შეძლებდა პროგრამაზე სწავლის მოთხოვნების დაკმაყოფილებას. სასურველი იყო რომ პროგრამას დამატებოდა ფრანგულენოვანი მასალები ან პროგრამაზე მიღების წინაპირობა ყოფილიყო მხოლოდ ინგლისური ენის ცოდნა;
- პროგრამაზე მიღების რეგულაციების შესაბამისად, თუ კანდიდატს გავლილი ჰქონდა მინიმუმ ერთი კურსი ინგლისურ ენაზე, იგი თავისუფლდებოდა ინგლისური ენის ცოდნის დადასტურების მოთხოვნისაგან. ექსპერტთა აზრით, მხოლოდ ერთი ინგლისურენოვანი კურსის გავლა შესაძლოა არ ყოფილიყო საკმარისი პროგრამის მოთხოვნების დასაძლევად. შესაბამისად, სასურველი იყო ნაცვლად ერთი კურსისა, კანდიდატი გათავისუფლებული ყოფილიყო ინგლისური ენის ცოდნის დადასტურების მოთხოვნისაგან იმ შემთხვევაში თუ მას გავლილი ექნებოდა ინგლისურენოვანი საბაკალავრო ან სამაგისტრო პროგრამა;
- სასურველი იყო, პროგრამაში არსებული კვლევის მეთოდების სილაბუსის მოკლე აღწერა შესაბამისობაში ყოფილიყო სილაბუსის სრულ ვერსიასთან. კერძოდ, პროგრამის დოკუმენტში მოცემულ მოკლე აღწერაში საუბარი იყო, რომ კურსი ითვალისწინებდა მხოლოდ კვლევის თვისობრივი მეთოდების სწავლებას, ხოლო

5-105

სილაბუსის სრულ ვერსიაში მოცემული იყო როგორც თვისობრივი ასევე რაოდენობრივი მეთოდები;

- სასურველი იყო, პროგრამაში არსებული საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის მოკლე აღწერა შესაბამისობაში ყოფილიყო სილაბუსის სრულ ვერსიასთან.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მესამე და მეოთხე რეკომენდაცია რომელიც ეხებოდა კვლევის მეთოდების დაკონკრეტებას სილაბუსებში და საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის მოკლე აღწერის შესაბამისობას სილაბუსის სრულ ვერსიასთან გახლდათ ტექნიკური შეცდომა რაც დაუყოვნებლივ იქნა გამოსწორებული, ხოლო პირველი და მეორე რეკომენდაცია სრულად იქნა გათვალისწინებული და შესაბამისი ცვლილებები ასახულ იქნა პროგრამაში.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა პროგრამა ინგლისურენოვანი იყო თუ არა. წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამა იყო ქართულენოვანი. სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა თუ ვის მიღებას გეგმავდნენ პროგრამაზე, იქნებოდნენ ესენი მათი თუ სხვა უნივერსიტეტების კურსდამთავრებულნი. წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მათ შეისწავლეს ბაზარი, აღნიშნული ეტაპისათვის სურვილი გამოთქვა 30-მდე სტუდენტმა, მათ შორის იყვნენ არამხოლოდ მათი კურსდამთავრებულები. პროგრამაზე იგეგმებოდა 10-მდე სტუდენტის მიღება საწყის ეტაპზე.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს კავკასიის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 4
წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილებას მხარი არ დაუჭირა ნათელა სახოკიამ.

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის № 65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს კავკასიის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

5-16

3. შპს კავკასიის უნივერსიტეტის კლინიკური ფსიქოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა
პროგრამის დასახელება: კლინიკური ფსიქოლოგია
განათლების საფეხური: მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრი
სწავლების ენა: ქართული
კრედიტების რაოდენობა: 120

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისათვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები საბჭოს წარუდგინეს ექსპერტებმა თინათინ ჭინჭარაულმა და ნანა საგინაშვილმა.

- სასურველი იყო სალექციო კურსების სილაბუსებში ასახულიყო სწავლების მეთოდების ის მრავალფეროვნება, რომელსაც ლექტორები იყენებდნენ სწავლების პროცესში და რაც ასახული იყო საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმში. კერძოდ, სილაბუსების უმრავლესობაში დასახელებული იყო მხოლოდ სწავლების ფორმატი: ლექცია, სემინარი, პრეზენტაცია და არ იყო დაკონკრეტებული კურიკულუმში დასახელებული სწავლების მეთოდებიდან რომელი გამოიყენებოდა კონკრეტულად მოცემულ სალექციო კურსში;
- ვინაიდან მოცემული საგანმანათლებლო პროგრამა მიზნად ისახავდა კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე სპეციალისტის მომზადებას, სასურველი იყო შეფასების კომპონენტების გამრავალფეროვნება მოცემული სპეციალობის გათვალისწინებით. კერძოდ, სტანდარტული შეფასების სისტემაში ისეთი ტიპის დავალებების გამოყენება, როგორიც იყო, მაგალითად, კლინიკური შემთხვევის ანალიზი, პორთფოლიო (დიაგნოსტიკისა და ფსიქოლოგიური პორტრეტების შემთხვევაში) და ა.შ.;
- სასურველი იყო მომზადებულიყო სამაგისტრო ნაშრომის კონცეფცია, რაც მაგისტრანტისათვის და ასევე სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელისათვის ნათელს გახდიდა, თუ რა ტიპის კვლევა და შესაბამისად ანალიზი იქნებოდა მისაღები უმაღლესი განათლების მოცემულ საფეხურზე მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად;

- სასურველი იყო გასაუბრების კრიტერიუმების შემუშავება, რათა მაგისტრანტობის კანდიდატს შეეძლო გასაუბრებისათვის სათანადოდ მომზადება. აღნიშნული, ასევე, მიღების პროცესს უფრო გამჭვირვალეს გახდიდა;
- სასურველი იყო საგანმანათლებლო პროგრამის გავლის მანძილზე სალექციო კურსებში შეთავაზებული პრაქტიკული მეცადინეობის გარდა სტუდენტს შესაძლებლობა ჰქონოდა კონცენტრაციის შესაბამისად დამატებით გაევლო პრაქტიკა, რაც მისცემდა თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებისა და გაძლიერების შესაძლებლობას. აღნიშნულიდან გამომდინარე სასურველი იყო მომზადებულიყო პრაქტიკის სილაბუსი.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ გაითვალისწინებდნენ რეკომენდაციას სამაგისტრო ნაშრომის კონცეფციის დაკონკრეტებასთან დაკავშირებით, პრაქტიკის კომპონენტი წარმოდგენილი იყო არჩევითი საგნის სახით მესამე სემესტრში, პრაქტიკული კომპონენტი ემთხვეოდა მოდულებს კონკრეტული კონცენტრაციით.

თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტს კიდევ ერთხელ დაეფიქსირებინა თავისი აზრი პრაქტიკული კომპონენტის სავალდებულობის თაობაზე.

ექსპერტმა განაცხადა, რომ პრაქტიკა სასურველი იყო ყოფილიყო სავალდებულო, გაწერილი კონკრეტული სწავლის შედეგებით, რათა სტუდენტს შესაძლებლობა ჰქონოდა დაბრკოლების გარეშე გასულიყო შედეგზე.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ შესაძლებელი იყო შედგენილი ყოფილიყო ცალკე სილაბუსი პრაქტიკასთან დაკავშირებით.

თავმჯდომარე დაინტერესდა თუ ჰქონდა დაწესებულებას გაფორმებული ხელშეკრულებები პრაქტიკის ობიექტებთან.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მემორანდუმები დადებული იყო და გაწერილი იყო პროგრამაში.

თავმჯდომარე დაინტერესდა რამდენი სტუდენტის მიღებას აპირებდნენ პროგრამაზე.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ბიუჯეტი შედგენილი იყო 25 სტუდენტზე, გათვლა გაკეთებული იქნა ფსიქოლოგიის კურსდამთავრებულებზე, რომლებიც შესაძლებელი იყო ყოფილიყვნენ დასაქმებულნი აღნიშნულ სფეროში. პროგრამა გახლდათ ინოვაციური, მასში ჩართულები იყვნენ გამოცდილი სპეციალისტები. პროგრამაში ჩართული იყო ორი აკადემიური პერსონალი, ხოლო დანარჩენი იყვნენ მოწვეულები.

თავმჯდომარე დაინტერესდა მოწვეული პერსონალი სხვა უნივერსიტეტებშიც თუ კითხულობდნენ ლექციებს.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ რამდენიმე კითხულობდა ლექციებს სხვა დაწესებულებებში, ხოლო ზოგიერთი მათგანი გახლდათ მოქმედი, პრაქტიკოსი ფსიქოლოგი.

თავმჯდომარე დაინტერესა როგორ იყო დარეგულირებული უცხო ენის საკითხი.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დაშვების წინაპირობად ჰქონდათ ჩადებული ინგლისური ენის ცოდნა, თუმცა შემდეგ აღარ ასწავლიდნენ.

საბჭოს წევრმა ლევან გორდეზიანმა სთხოვა ექსპერტს დაეფიქსირებინა თავისი მოსაზრება პროგრამასთან დაკავშირებით ვინაიდან მას მიაჩნდა, რომ არ იყო საკმარისი აკადემიური პერსონალი და თვლიდა რომ პროგრამა ჯერ კიდევ იყო დამუშავების პროცესში.

ექსპერტმა განაცხადა, რომ სასურველი იქნებოდა პროგრამას დამატებოდა კრიმინოლოგიური და სასამართლო ფსიქოლოგიის კვალიფიკაციებიც, ვინაიდან პროგრამის ძლიერ მხარეს ზუსტად აღნიშნული ორი სფერო წარმოადგენდა, ხოლო კვალიფიკაცია გახლდათ მხოლოდ კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრი. ასევე პროგრამა იქნა შეცვლილი

მის მიერ ნანახი ვერსიისაგან და იყო საკმაოდ განსხვავებული, საბოლოო ფორმატი იძლეოდა საბოლოო შედეგზე გასვლის შესაძლებლობას.

საბჭოს წევრი ლევან გორდეზიანი დაინტერესდა როდის იგეგმებოდა სტუდენტების მიღება. წარმომადგენელმა განაცხადა, რომ იმავე სასწავლო წელს გეგმავდნენ სტუდენტების მიღებას.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს კავკასიის უნივერსიტეტის კლინიკური ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 4
წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილებას მხარი არ დაუჭირა ნათელა სახოკიამ.

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის № 65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს კავკასიის უნივერსიტეტის კლინიკური ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

4. შპს საქართველოს უნივერსიტეტის გამოყენებითი ფსიქოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა
პროგრამის დასახელება: გამოყენებითი ფსიქოლოგია
განათლების საფეხური: მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბავშვთა და მოზარდთა ფსიქოლოგიის მაგისტრი, კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრი, შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის მაგისტრი.
სწავლების ენა: ქართული
კრედიტების რაოდენობა: 120

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისათვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები საბჭოს წარუდგინეს ექსპერტებმა თინათინ ჭინჭარაულმა და ნანა საგინაშვილმა.

- საგანმანათლებლო პროგრამა მიზნად ისახავდა ბავშვთა და მოზარდთა ფსიქოლოგიის მაგისტრის ან კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრის ან შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე სპეციალისტის მომზადებას. სასურველი იყო შეფასების კომპონენტების გამრავალფეროვნება მოცემული სპეციალიზაციების გათვალისწინებით. კერძოდ, სტანდარტულ შეფასების სისტემაში ისეთი ტიპის დავალებების გამოყენება, როგორიც იყო მაგალითად: კლინიკური შემთხვევის ანალიზი, სიმულირებული კლინიკური ინტერვიუ, ტრენინგი და ა.შ.
- სასურველი იყო საგანმანათლებლო პროგრამის გავლის მანძილზე სალექციო კურსებში შეთავაზებული პრაქტიკული მეცადინეობების გარდა სტუდენტს შესაძლებლობა ჰქონოდა კონცენტრაციის შესაბამისად დამატებით გაევლო პრაქტიკა, რაც მისცემდა თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების და გაძლიერების კიდევ უფრო მეტ შესაძლებლობას. აღნიშნულიდან გამომდინარე სასურველი იყო მომზადებულიყო პრაქტიკის სილაბუსი.
- სალექციო კურსების სილაბუსებში კრედიტების შესაბამისი საათების განაწილებისას ფიქსირდებოდა შემდეგი ტიპის ჩაშლა: „დამოუკიდებელი მეცადინეობა - 60 საათი, გამოცდების მომზადება-ჩაბარება - 32 საათი (მათ შორის შუალედური გამოცდის ჩაბარება 2 საათი, ფინალური გამოცდის ჩაბარება 3 საათი), ნაშრომების მომზადება-ჩაბარება (მათ შორის ნაშრომის წარდგენა 8 წუთი)-30 საათი, ლექციაზე და სემინარებზე

დასწრება - 28 საათი". მართებული იქნებოდა გამოცდების მომზადებისა და ნაშრომების მომზადების დროები დამატებოდა დამოუკიდებელ მეცადინეობას, რადგან აღნიშნული აქტივობა სტუდენტს დამოუკიდებლად უნდა განეხორციელებინა, ხოლო გამოცდების და ნაშრომის ჩაბარებისათვის განკუთვნილი დრო ცალკე გამოყოფილიყო. მოცემულ შემთხვევაში უფრო თვალსაჩინო გახდებოდა სალექციო კურსის ფარგლებში სტუდენტს რამდენი საკონტაქტო საათი ჰქონდა და რამდენი საათი იყო განკუთვნილი დამოუკიდებელი სამუშაოსათვის.

- სალექციო კურსებს „ ბავშვთა ფსიქოკორექციული მეთოდები 1" და „ ფსიქოკორექციული მეთოდები2" სასურველი იყო შეცვლოდა სათაური „ ბავშვთა ფსიქოთერაპიული მეთოდები 1" და „ ბავშვთა ფსიქოთერაპიული მეთოდები2", რაც უფრო შეესაბამებოდა სალექციო კურსების შინაარსს. (აღნიშნული რეკომენდაცია დაწესებულების მიერ ადგილზევე იქნა გამოსწორებული).

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ რეკომენდაციების ნაწილი გათვალისწინებული იქნა, რაც შეეხებოდა პრაქტიკულ ნაწილს ცვლილებები იქნა შეტანილი სილაბუსებში, არჩევითი საგნები წარმოადგენდნენ პრაქტიკულ კურსებს რომლებიც გაწერილი იყო სამ კონცენტრაციაში, პროგრამების აქცენტი გაკეთებული იყო პრაქტიკულ თეორიულ კურსებზე მასში შემავალი პრაქტიკისათვის გათვალისწინებული სამუშაოებით. თუმცა ექსპერტთა რეკომენდაცია აუცილებლად იქნებოდა გათვალისწინებული და ცალკე გამოიყოფოდა პრაქტიკული კომპონენტი სილაბუსის სახით.

თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მისი აზრით ერთ სამაგისტრო პროგრამაში გაერთიანებული იყო ორი სერიოზული ბავშვთა და მოზარდთა და კლინიკური ფსიქოლოგიის პროგრამა და მას თითქოს მიწებებული ჰქონდა შრომის ადა ორგანიზაციის ფსიქოლოგიის პროგრამა, რომელსაც მისი აზრით ჭირდებოდა სხვა ცოდნა, შესაბამისად მისთვის აღნიშნული მიქსი იყო გაუგებარი.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგია იყო ერთ ერთი მიმართულება, დაწესებულების აზრით მათ მიაჩნდათ, რომ როდესაც მოდიოდა მაგისტრი მას ენიჭებოდა სრული თავისუფლება, პროგრამის ერთი უპირატესობა გახლდათ სწორად ის, რომ სტუდენტს ჰქონოდა თავისუფალი არჩევანის გაკეთების საშუალება. მიღების წინაპირობად დაწესებულების იყო გამოცდა ფსიქოლოგიაში ხოლო მათი გათვლით კონტიგენტი შესაძლებელია ყოფილიყვნენ ბიზნესის წარმომადგენლები, რომლებიც დაინტერესდებოდნენ შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიით.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ თითოეულ კონცენტრაციას ჰქონდა თავისი სამაგისტრო ნაშრომი, დაწესებულება მუშაობდა სამაგისტრო ნაშრომის სტრუქტურის სრულყოფაზე, გაწერილი იყო სამაგისტრო ნაშრომის თითოეული კრიტერიუმი.

საბჭოს წევრმა ლევან გორდეზიანმა განაცხადა, რომ აღნიშნული სახის პროგრამები რომელთაც ჰქონდათ რამდენიმე დარგობრივი მიმართულება შესაძლებელია ჰქონოდათ გარკვეული სპეციფიკა, მაგრამ თუ აკადემიური რესურსი იქნებოდა საკმარისი და პროგრამას ექნებოდა გონივრული შინაარსი მისთვის აღნიშნული ტიპის პროგრამა იყო სრულიად მისაღები.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველოს უნივერსიტეტის გამოყენებითი ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის № 65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს საქართველოს უნივერსიტეტის გამოყენებითი ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

დღის წესრიგით გათვალისწინებული მეხუთე საკითხი შპს საქართველოს უნივერსიტეტის ამერიკათმცოდნეობის დამატებითი საგანმანათლებლო პროგრამის განხილვა გადაიდო ბოლო საკითხად.

6.1ა

5. შპს სასწავლო უნივერსიტეტ გეომედის ჯანდაცვის მენეჯმენტის დამატებითი პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა
პროგრამის დასახელება: ჯანდაცვის მენეჯმენტი დამატებითი (MINOR) საგანმანათლებლო პროგრამა
განათლების საფეხური: -
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: -
სწავლების ენა: ქართული
კრედიტების რაოდენობა: 60

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისათვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები საბჭოს წარუდგინეს ექსპერტებმა თამარ გაიხარაშვილმა და ია ნაცვლიშვილმა.

- სასურველი იყო დამატებითი სპეციალობის პროგრამაზე სტუდენტის დაშვების წინაპირობა უფრო მეტად დაკონკრეტებულიყო და მითითებული ყოფილიყო ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოთი განსაზღვრული რომელი პროგრამული მიმართულებების ძირითადი სპეციალობის სტუდენტები დაიშვებოდნენ აღნიშნულ პროგრამაზე;
- მიზანშეწონილი იყო გასწორებულიყო ტექნიკური ხასიათის უზუსტობა და სასწავლო კურსის ,,საინოვაციო მენეჯმენტი ჯანდაცვაში" დაშვების წინაპირობა შესაბამისობაში ყოფილიყო მოყვანილი საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო კურსების წინაპირობათა მატრიცასთან;
- სასურველი იყო ცალკეული კურსის სასწავლო მასალა გამდიდრებულიყო ზოგიერთი ახალი და ქართულ ენაზე თარგმნილი უცხოური ლიტერატურით. მაგალითად: სასწავლო კურსში ,,ბიზნესის მართვა ჯანდაცვაში" სავალდებულო ლიტერატურას სასურველი იყო დამატებოდა: ტეოდორ ტულჩინსკი; ელენა ვარავიკოვა; „ახალი საზოგადოებრივი ჯანმრთელობა" ქართულ ენაზე ადაპტირებული თარგმანი. (2012წ)

ექსპერტმა განაცხადა, რომ ძირითადი საბაკალავრო პროგრამა ჯანდაცვის მენეჯმენტის უკვე ფუნქციონირებდა დაწესებულებაში, პროგრამა გახლდათ აკრედიტირებული, იმ შემთხვევაში თუ მხოლოდ აღნიშნული საბაკალავრო პროგრამის სტუდენტს დარჩებოდა ძირითადი პროგრამიდან 60 კრედიტი შეეძლო აეღო დამატებითი პროგრამა.

6-1/0

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს სასწავლო უნივერსიტეტ გეომედის ჯანდაცვის მენეჯმენტის დამატებითი პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის № 65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს სასწავლო უნივერსიტეტ გეომედის ჯანდაცვის მენეჯმენტის დამატებით პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

6-1ა

6. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისა და სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიოსამედიცინო ინჟინერიის ერთობლივი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

პროგრამის მოკლე აღწერა
პროგრამის დასახელება: ბიოსამედიცინო ინჟინერია
განათლების საფეხური: მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიოსამედიცინო ინჟინერიის მაგისტრი
სწავლების ენა: ქართული
კრედიტების რაოდენობა: 120

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისათვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები საბჭოს წარუდგინეს ექსპერტებმა მანანა ხაჩიძემ, მარიამ დარბაიძემ, და თამარ გაიხარაშვილმა

- სწავლის შედეგების ნაწილში, კერძოდ: ცოდნა და გაცნობიერებაში იყო შემდეგი ჩანაწერი: ,,კურსდამთავრებულს აქვს ღრმა, სისტემური, კვლევაზე დაფუძნებული ცოდნა: ინჟინერიის, მათემატიკის, ფიზიკის და შესაბამისად ბიოსამედიცინო მეცნიერებების სფეროში", აღნიშნული ჩანაწერები მოითხოვდა კორექტირებას, სასურველი იყო დარგები გამოყოფილიყო კავშირით ,,ან", რადგან საგანმანათლებლო პროგრამა ოთხივე დარგში კვლევაზე დაფუძნებულ ღრმა და სისტემურ ცოდნას ვერ მისცემდა კურსდამთავრებულს;
- სასურველი იყო რომ მიღების წინაპირობებში დაკონკრეტებული ყოფილიყო ინგლისური ენის ფლობის დონე, კერძოდ B2. გარდა ამისა ინფორმატიკის გამოცდა ჩანაცვლებული ყოფილიყო კომბინირენული გამოცდით, რომელიც მოიცავდა ინფორმატიკის, ქიმიის, ფიზიკის და მათემატიკის საკითხებსაც;
- სასურველი იყო მესამე სემესტრის სასწავლო კურსებს განსაზღვრული ჰქონოდა წინაპირობები, რაც დადასტურებული იქნებოდა პროგრამის ხელმძღვანელის მიერ;
- სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ განხორციელებულ სასწავლო კურსებში სტუდენტის ცოდნის დონის შეფასების ფორმები, მეთოდები, კომპონენტები და კრიტერიუმები მოითხოვდა დახვეწას. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ცვლილებები ინიცირებული იყო და წარდგენილი იყო აკადემიურ საბჭოზე დასამტკიცებლად;

6.1

- ვინაიდან განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის ბრძანება №3 ,,უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესში" შესული ცვლილებები უნდა ამოქმედებულიყო 2016 წლის 1 სექტემბრიდან, საგანმანათლებლო პროგრამაში და სასწავლო კურსების სილაბუსებში უნდა ყოფილიყო ასახული შესაბამისი ცვლილებები. დაწესებულებების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ აღნიშნული კუთხით ცვლილებები ხორციელდებოდა და დოკუმენტი დასრულებულ სახეს მიიღებდა 2016 წლის 1 სექტემბრამდე;
- სასურველი იყო სასწავლო გეგმას დამატებოდა სასწავლო კურსი ,,ფიზიკა ელექტროობაზე კონცენტრაციით".

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ვიზიტის შემდეგ პროგრამის ხელმძღვანელებთან კოორდინაციის შემდგომ აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული იქნა ცვლილებები და გადმოგზავნილ იქნა ცენტრში. აღნიშნულ ეტაპზე ვერ მოხერხდა არჩევით სასწავლო კომპონენტში კურსების დამატება. თავად პროგრამა უკვე ხორციელდებოდა ავტორიზებულ რეჟიმში, მასზე ირიცხებოდნენ სტუდენტები შესაბამისად პროგრამას აპრობაცია გავლილი ჰქონდა. რაც შეეხებოდა ელექტრონულ ინჟინერიას იგი ჩაშენებული იყო სასწავლო წლის მესამე სემესტრის საგნებში მაგ: სამედიცინო ტექნიკა. რაც შეეხებოდა სამაგისტრო ნაშრომს, სტუდენტს შეეძლო სხვადასხვა მიმართულების არჩევა. მაგ: წმინდა ტექნიკური კონკრეტულ ტექნიკასთან და დანადგარებთან დაკავშირებით.

თავმჯდომარე დაინტერესდა ვინაიდან პროგრამა გახლდათ მოქმედი ავტორიზებულ რეჟიმში თუ მოხდა გასაუბრება სტუდენტებთან.

ექსპერტმა მარიამ დარბაიძემ განაცხადა, რომ შედგა გასაუბრება სტუდენტებთან სხვადასხვა უნივერსიტეტებში და დამსაქმებლებთან, სტუდენტები თითო სემესტრს სწავლობდნენ თითო უნივერსიტეტში. აღნიშნულ ეტაპზე პროგრამაზე სწავლობდა ორი სტუდენტი.

საბჭოს წევრი თამარ ბრეგვაძე დაინტერესდა მსგავსი პროგრამა მოქმედებდა თუ არა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში.

ექსპერტმა მანანა ხაჩიძემ განაცხადა, რომ მსგავსი კვალიფიკაციის პროგრამა არსებობდა თუმცა შინაარსობრივად განსხვავებული იყო. აქცენტი აღებული იყო სამედიცინო ინფორმატიკაზე და ინჟინრული მოწყობილობების პროგრამულ უზრუნველყოფაზე, შესაბამისად გახლდათ სხვა მიმართულება.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისა და სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიოსამედიცინო ინჟინერიის ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

5-1/8

გადაწყვეტილება:

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის № 65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისა და სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიოსამედიცინო ინჟინერიის ერთობლივ სამაგისტრო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

5-1ა6

7. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფია-რელიგიის კვლევების სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა
პროგრამის დასახელება: ფილოსოფია - რელიგიის კვლევები
განათლების საფეხური: მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ფილოსოფიის მაგისტრი
სწავლების ენა: ქართული
კრედიტების რაოდენობა: 120

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისათვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები საბჭოს წარუდგინეს ექსპერტებმა დარეჯან გარდავაძემ და ფიქრია ვარდოსანიძემ.

- სამაგისტრო პროგრამა ფილოსოფია-რელიგიის კვლევებში ანიჭებდა ფილოსოფიის მაგისტრის კვალიფიკაციას. ექსპერტთა ჯგუფის აზრით პროგრამის სტრუქტურა და მისი არქიტექტონიკა - სავალდებულო და არჩევითი საგნების გადანაწილება აშკარად ითხოვდა მისანიჭებელი კვალიფიკაციის პროფილური (ფილოსოფიური) დისციპლინებით გაძლიერებას. აღნიშნული ორი დიდი დარგის ერთ პროგრამაში გაერთიანებით არ უნდა დაზარალებულიყვნენ არც ერთი და უპირველეს ყოვლისა ის დარგი რომლის კვალიფიკაციაც ეძლეოდა კურსდამთავრებულს. გარდა ამის რელიგიის კვლევები თავის მხრივ რელიგიათა უფრო ფართო და ინტერდისციპლინური პერსპექტივიდან კომპარატივისტულ შესწავლა - კვლევას გულისხმობდა ვიდრე ეს მოცემულ სტრუქტურაში არსებული დისციპლინებით იყო წარმოდგენილი. ამიტომ ექსპერტების დაბეჯითებით და აუცილებლად განსახორციელებელი რეკომენდაცი იყო პროგრამის სტრუქტურა გადაწყობილიყო იმდაგვარად, რომ გაემართლებინა პროგრამის მიზანი და მისანიჭებელი კვალიფიკაციის - ფართო, ღრმა და სისტემური ცოდნის მიცემა ფილოსოფიაში;
- პროგრამის სავალდებულო და არჩევითი საგნების ძირითადი და დამატებითი ლიტერატურა ასევე სავალდებულო წესით საჭიროებდა გამრავალფეროვნებას და მოდერნიზაციას (მათ შორის, ევროპელ ავტორთა სამეცნიერო სტატიებისა და მონოგრაფიების დონეზე), რათა შეეძლო სტუდენტის რეალურად გაეყვანა პროგრამის შედეგზე - სცოდნოდა დარგის თანამედროვე და აქტუალური კვლევების ინოვაციური მეთოდები;

6-10

- პროგრამაზე დაშვების წინაპირობა არ იყო უცხო ენა, პროგრამის სტრუქტურაში აუცილებლად უნდა მისცემოდა სტუდენტს საშუალება ერთი საფეხურით მაინც აემაღლებინა თავისი ცოდნა რომელიმე იმ ევროპულ ენაში, რომელიც მან იცოდა შესვლის მომენტისათვის. აღნიშნული აუცილებელი იყო დარგში თანამედროვე ლიტერატურის გასაცნობად და პროგრამის ინტერნაციონალიზაციის მომენტის გასაძლიერებლად (სტუდენტთა გაცვლით პროგრამებში მონაწილეობა, ერთობლივ სემინარებში, ვორქშოფებში ჩასართავად და ა. შ).

ექსპერტმა განაცხადა, რომ მათი რეკომენდაციების საფუძველზე პროგრამაში შეიცვალა ბევრი რამ, როგორც პროგრამის სტრუქტურა ასევე მის შინაარსში, საგნებში, გაამრავალფეროვნეს ლიტერატურა. პროგრამა გახლდათ ახალი, უნივერსიტეტს თავისი აკადემიური რესურსიდან გამომდინარე ჰქონდა შესაძლებლობა, რომ პროგრამა ყოფილიყო უფრო დახვეწილი.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ფილოსოფიის სპეციალობა არ ჰქონდა უნივერსიტეტს, სურვილს ყოველ წელს გამოთქვამდა 20-30 ბავშვი ბაკალავრიატზე, კურსდამთავრებულს საშუალება ექნებოდა დასაქმებულიყო სასულიერო სასწავლებელში ქუთაისში, ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის სასწავლო ცენტრში, გელათის აკადემიაში, კონსერვატორიის ფილიალი სადაც ისწავლებოდა ფილოსოფიური საგნები.

თავმჯდომარე დაინტერესდა იგულისხმებოდა თუ არა რელიგიაში მართლმადიდებლობა.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამა გახლდათ სინთეზური კვლევების პროგრამა, რომელიც გაკეთდა ევროპის 7 უნივერსიტეტის გამოცდილებაზე. უცხოელი პროფესორები რომლებიც თანამშრომლობდნენ ქუთაისის უნივერსიტეტთან სისტემატურად ჩამოდიოდნენ და კითხულობდნენ ლექციებს სინთეზურ კვლევებთან დაკავშირებით. მოთხოვნა იყო საგნები ყოფილიყო აგებული სინთეზური კვლევების საფუძველზე, შესაბამისად ყველა საგანი აგებული იყო აღნიშნულ მოდელზე. იგი ეთანხმებოდა ექსპერტს და როდესაც ხდებოდა ფილოსოფიის მაგისტრის ხარისხის მინიჭება გაძლიერებული უნდა ყოფილიყო ფილოსოფიის საგნების ბლოკი და შესაბამისად ლიტერატურაც უნდა ყოფილიყო შესაბამისი. პროგრამაზე მუშაობა მიმდინარეობდა 2 წელიწად ნახევრის მანძილზე, მუშაობისას გამოკვეთილი იქნა აუცილებლობა უცხოენოვანი ლიტერატურის ჩართვის. ფილოსოფიაში ჩართული იყო მონოგრაფიული კვლევები, გაძლიერებული იქნა უცხო ენების ცოდნა (ინგლისური, ფრანგული, რუსული), პროგრამაში შეიცვალა შინაარსი და ჩაიდო სხვადასხვა რელიგიის შედარებითი კვლევის ანალიზების შესწავლა. ასევე ლიტერატურასთან დაკავშირებით უნივერსიტეტს შედგენილი ჰქონდა სია სავალდებულოდ შესაძენი სახელმძღვანელოებისა, ასევე მათ გერმანიის უნივერსიტეტიდან მიიღეს საჩუქარი თანამედროვე ლიტერატურის სახით.

თავმჯდომარე დაინტერესდა როდის იგეგმებოდა სტუდენტების მიღება.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სტუდენტების მიღებას აპირებდნენ მომავალი სასწავლო წლიდან.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფია-რელიგიის კვლევების სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის № 65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფია-რელიგიის კვლევების სამაგისტრო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

თავმჯდომარემ განმარტა, რომ სამაგისტრო პროგრამა საჭიროებდა დახვეწას, იყო ბევრი ხარვეზი, არ იყო მოქნილი არჩევითი ბლოკი და სხვ. მოკლებული იყო ლოგიკას. საბჭომ იმსჯელა და გადაწყვიტა მიეცათ შანსი ვინაიდან უნივერსიტეტში იყო აღნიშნულ დარგებში გამოცდილების პრაქტიკა, საერთაშორისო ხელშეწყობითაც შესაძლებელი იქნებოდა სრულყოფილი სახის მიცემა.

6-108

8. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფია-რელიგიის კვლევების სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა
პროგრამის დასახელება: ფილოსოფია - რელიგიის კვლევები
განათლების საფეხური: დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ფილოსოფიის დოქტორი
სწავლების ენა: ქართული
კრედიტების რაოდენობა: 180

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისათვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები და შენიშვნები საბჭოს წარუდგინეს ექსპერტებმა დარეჯან გარდავაძემ და ფიქრია ვარდოსანიძემ.

- სადოქტორო პროგრამა ფილოსოფია-რელიგიის კვლევებში ანიჭებდა ფილოსოფიის დარგში დოქტორის კვალიფიკაციას, ამიტომ სასურველი იყო პროგრამის სასწავლო და კვლევითი რესურსი მიმართული ყოფილიყო მისანიჭებელი კვალიფიკაციის პროფილური (ფილოსოფიური), სადოქტორო საფეხურის შესატყვისი დისციპლინებისა და კვლევის მეთოდოლოგიის გამომუშავებისაკენ, სასწავლო კურსებში ზოგადი საგნობრივი თემატური ცოდნის ნაწილი მინიმუმამდე უნდა ყოფილიყო დაყვანილი და დარგობრივი კვლევითი პრობლემატიკა და კვლევის მეთოდოლოგია მაქსიმალურად წინ უნდა ყოფილიყო წამოწეული;
- კურსებში დასახელებული სამეცნიერო ლიტერატურა სავალდებულო წესით საჭიროებდა გამრავალფეროვნებას და მოდერნიზაციას (მათ შორის, არა მხოლოდ სახელმძღვანელოების, არამედ აუცილებელი წესით ევროპელ ავტორთა უცხოენოვანი სამეცნიერო სტატიებისა და მონოგრაფიების დონეზე), რათა შეეძლო სტუდენტის რეალურად გაყვანა პროგრამის შედეგზე - თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების დონეზე მოემზადებინა ღრმა, ფართო თეორიული ცოდნით და კვლევითი უნარებით აღჭურვილი სამეცნიერო კადრი, რომელსაც საკუთარი სამეცნიერო კვლევის შედეგების ასახვა შეეძლებოდა რეფერირებად-რეცენზირებად სამეცნიერო პერიოდულ გამოცემებში დარგში დამკვიდრებული და აპრობირებული სამეცნიერო სტანდარტების დაცვით. დოქტორანტი რომელიც უცხო ენის ცოდნის

5-10

მინიმუმ B2 დონით შედიოდა პროგრამაზე, უნდა დაემუშავებინა ავთენტურ წყაროებსა და უცხოენოვანი სამეცნიერო ლიტერატურა. სხვაგვარად თანამედროვე პირობებში დარგის კვლევის მეთოდოლოგიაში გარკვევა შეუძლებელი იყო.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სადოქტორო პროგრამაზეც გათვალისწინებული იქნა ყველა რეკომენდაცია, გამრავალფეროვნდა ლიტერატურა უცხოენოვანი ლიტერატურით, კვლევის მეთოდები სოციოლოგია და ფსიქოლოგია გახლდათ კვლევის შემადგენელი ნაწილი. დოქტორანტურის პროგრამიდან ამოღებულ იქნა ისტორიოგრაფია და შეცვლილი იქნა სილაბუსები. აღინიშნა რომ ექსპერტების მიერ გამოთქმულ რეკომენდაციებს ისინი სრულად იზიარებდნენ რამაც ხელი შეუწყო პროგრამის მოდერნიზებას და სრულყოფას.

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფია-რელიგიის კვლევების სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 0
წინააღმდეგი - 5

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტის და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის № 65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფია-რელიგიის კვლევების სადოქტორო პროგრამას უარი ეთქვას აკრედიტაციაზე.

თავმჯდომარის განმარტებით, ვინაიდან პირველ რიგში დასახვეწი იყო სამაგისტრო პროგრამა, საბჭომ ჩათვალა, რომ სადოქტორო პროგრამის აკრედიტაცია მომხდარიყო მას შემდეგ რაც დაიხვეწებოდა სამაგისტრო პროგრამა. უფრო მნიშვნელოვანი იქნებოდა ჯერ განეხორციელებინათ სამაგისტრო საფეხური და შემდეგ ეფიქრათ სადოქტორო საფეხურზე.

6-108

9. შპს საქართველოს უნივერსიტეტის ამერიკათმცოდნეობის დამატებითი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

პროგრამის მოკლე აღწერა
პროგრამის დასახელება: დამატებითი სპეციალობა ამერიკისმცოდნეობაში
განათლების საფეხური: -
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: -
სწავლების ენა: ქართული
კრედიტების რაოდენობა: 60

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისათვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები საბჭოს წარუდგინა ექსპერტმა ეკატერინე ბაკარაძემ.

- თითოეული სასწავლო კურსის დაგეგმვისას შინაარსი, სწავლების მეთოდები და მოცულობა შერჩეული იყო მისაღწევი სწავლის შედეგების მიხედვით. აღსანიშნავი იყო, რომ პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კურსებში კრედიტების რაოდენობა იყო6, საათობრივი გადანაწილება - კვირაში 2 საკონტაქტო საათი (ლექციაზე და სემინარზე დასწრება 28, დამოუკიდებელი მეცადინეობა 50, გამოცდების მომზადება ჩაბარება (მათ შორის შუალედური გამოცდის ჩაბარება - 2 სთ + ფინალური გამოცდის ჩაბარება - 3 სთ) 40, ნაშრომების მომზადება - ჩაბარება - 32) მიუხედავად იმისა, რომ სასწავლო კურსები უზრუნველყოფდა სწავლის შედეგზე გასვლას, სასურველი იყო სწავლების საფეხურის გათვალისწინებით გაზრდილიყო საკონტაქტო საათების რაოდენობა და შესაბამისად შემცირებულიყო დამოუკიდებული მუშაობისათვის გამოყოფილი დრო;
- სასურველი იყო საქართველოს უნივერსიტეტის საბაკალავრო საფეხურის სტუდენტების გამოკითხვა და შესაბამისად კვლევის წარმოდგენა იმის გამოსავლენად თუ რამდენად იყო მოთხოვნა აღნიშნულ დამატებით პროგრამაზე სწავლისა;
- შეთავაზებულ კურსებში სავალდებულო ლიტერატურად ხშირად მითითებული იყო საგნის პედაგოგის მიერ შექმნილი რიდერი, რომელიც დაფუძნებული იყო დარგის უახლეს ლიტერატურაზე, თუმცა სასურველი იყო რიგი კურსების სილაბუსებში (მაგ: აშშ თანამედროვე ხელოვნება) ასევე დამატებოდა სარეკომენდაციო ლიტერატურა.

G-106

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სამივე რეკომენდაცია გათვალისწინებული იქნა, რაც შეეხებოდა ბოლო რეკომენდაციას სარეკომენდაციო ლიტერატურის დამატებასთან დაკავშირებით, აღსანიშნავი იყო, რომ მათ კურსებს ჰქონდათ რიდერები სადაც სავალდებულო ლიტერატურის გარდა ცალკე გრაფაში იქნა გამოყოფილი სარეკომენდაციო ლიტერატურის გრაფა. ასევე სტუდენტების გამოკითხვას რაც შეეხებოდა ვინაიდან პროგრამა ჯერ არ განხორციელებულა მოხდა მხოლოდ დამსაქმებლების გამოკითხვა, ვინაიდან დამატებითი სპეციალობა ყველა უნივერსიტეტში იწყებოდა მეოთხე სემესტრიდან მათ ჰქონდათ კიდევ ერთი სემესტრი იმისათვის რომ ჩატარებული ყოფილიყო სტუდენტების გამოკითხვა. რაც შეეხებოდა პროგრამის შექმნის საფუძველს, უნივერსიტეტში იყო მოთხოვნა სტუდენტების მხრიდან რომელთაც ესწავლებოდათ ამერიკის ისტორია და მასთან დაკავშირებული სხვა საგნები. რაც შეეხებოდა საათების განაწილებას მათ უნივერსიტეტში ფაქტობრივად ყველა კურსი იყო გადანაწილებული კვირაში ორი საათით, თუმცა იყო რიგითი კურსები რომლებიც თუ საჭიროება მოითხოვდა იყო სამ საათიანი. ხოლო დამატებითი პროგრამის კურსის შინაარსიდან გამომდინარე იგი იქნებოდა კვირაში ორი საათი ექვსი კრედიტით.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონიათ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველოს უნივერსიტეტის ამერიკათმცოდნეობის დამატებითი პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის № 65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს საქართველოს უნივერსიტეტის ამერიკათმცოდნეობის დამატებით პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

თავმჯდომარემ გააკეთა განცხადება შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების განხილვასთან დაკავშირებით, კერძოდ ვინაიდან საბჭოს არ ესწრებოდა ექსპერტთა ჯგუფი საკითხების განხილვა გადაიდებოდა სამომავლოდ.

5-156

10. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოდის დიზაინის დამატებითი პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა
პროგრამის დასახელება: მოდის დიზაინი
განათლების საფეხური: -
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: -
სწავლების ენა: ქართული
კრედიტების რაოდენობა: 60

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისათვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები საბჭოს წარუდგინეს ექსპერტებმა ნინო ღაღანიძემ და ნატო გენგიურმა.

- სასურველი იყო სასწავლო რესურსების გამრავალფეროვნება უახლესი უცხოური გამოცემებით - პერიოდული პროდუქცია, ელექტრონული კატალოგები, მოდის დიზაინის საერთაშორისო კონკურსების მასალა და სხვ. ამგვარი სიახლე გარკვეულ წვლილს შეიტანდა პროგრამის ინტერნაციონალიზაციის საქმეშიც;
- მიზანშეწონილი იყო პროგრამის სასწავლო კურსებს დამატებოდა პროფესიული პორთფოლიოს შექმნის მოდული ან თემა რაც ხელს შეუწყობდა კურსდამთავრებულის პროფესიული წინსვლის პროცესს.

თავმჯდომარემ მოითხოვა ექსპერტს სამივე პროგრამაზე ერთიანად გამოეთქვა აზრი რათა არ განეხილათ ცალ ცალკე ვინაიდან ერთი სფეროს დამატებით პროგრამებზე იყო საუბარი და მისი აზრით შესაბამისად რეკომენდაციებიც უნდა ყოფილიყო ერთიანი ხასიათის მატარებელი.

ექსპერტმა განაცხადა, რომ სამივე პროგრამა გახლდათ აბსოლუტურად გააზრებული ერთიანი ციკლი, პროგრამები იზიარებდა პრინციპს მარტივიდან რთულისკენ გადასვლის, სამივე დარგი გახლდათ თეორიისა დ პრაქტიკის სინთეზი, ფორმატი და მეთოდები სწავლა სწავლების იყო ძალიან კარგად შერჩეული. პროგრამის შეთავაზება მოხდებოდა სხვადასხვა ფაკულტეტის სტუდენტებისათვის, დამსაქმებლები იყვნენ როგორც პატარა სამკერვალოები ასევე დიდი ორგანიზაციები, შთაბეჭდილებიდან გამომდინარე დამსაქმებლები პირველად არ ეცნობოდნენ პროგრამას, ნათელი იყო რომ ისინი ჩართულები იყვნენ პროგრამების

G-106

შემუშავებაში, ბევრი მათგანი თავად იყო ჩართული პროგრამის განხორციელებაში. დაწესებულებას ჰქონდა ძალიან კარგი ბაზა და ლაბორატორიები.

საბჭოს წევრი ელიზბარ ელიზბარაშვილი დაინტერესდა ინტერიერისა და ტექსტილის დიზაინის ერთ პროგრამაში გაერთიანება რამდენად მიზანშეწონილი იყო.

ექსპერტმა განაცხადა, რომ აღნიშნულში იგულისხმებოდა ინტერიერში გამოსაყენებელი ქსოვილები მაგ: ავეჯი, ფარდა და ა.შ.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამა მოიაზრებდა დრაპირებებს იქნებოდა ეს ავეჯის, ფარდების, კედლების გაფორმება, პანოების შექმნა და სხვ. მათ ჰყავდათ თექის და ბატიკის საკამოდ ძლიერი სპეციალისტები, რომლებიც ინტერიერის გაფორმებას აკეთებდნენ თავიანთი ნამუშევრებით.

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოდის დიზაინის დამატებითი პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის № 65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოდის დიზაინის დამატებით პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

6-16

11. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინტერიერისა და ტექსტილის დიზაინის დამატებითი პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა
პროგრამის დასახელება: ინტერიერისა და ტექსტილის დიზაინი
განათლების საფეხური: -
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: -
სწავლების ენა: ქართული
კრედიტების რაოდენობა: 60

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისათვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები საბჭოს წარუდგინეს ექსპერტებმა ნინო ღაღანიძემ და ნატო გენგიურმა.

- უნივერსიტეტი ყოველმხრივ უწყობდა ხელს თითოეული კომპონენტის სწავლის შედეგების მიღწევისათვის აუცილებელი სახელმძღვანელოების შემუშავებასა და გამოცემას ქართულ ენაზე. ამ მხრივ სტუდენტები უზრუნველყოფილი იყვნენ აუცილებელი სასწავლო რესურსით, თუმცა, სასურველი იყო აღნიშნული ბაზის შევსება თანამედროვე უცხოური ლიტერატურით და სხვა სასწავლო რესურსით;
- ყურადღებას საჭიროება ზოგიერთი სილაბუსი, რათა მომხდარიყო რეალური ვითარების შესაბამისად ასახვა. მაგალითად: სასწავლო კურსში ,,სტილის შერჩევის მეთოდები", სილაბუსის შინაარსში მეცადინეობის ფორმატად და სწავლების მეთოდად მხოლოდ ,,ჯგუფში მუშაობა" იყო აღნიშნული, თუმცა სავარაუდოდ შინაარსი უნდა დაზუსტებულიყო და დამატებოდა ლექციაც, როგორც ეს თავად პედაგოგს ჰქონდა განსაზღვრული (დადასტურებულ იქნა პედაგოგთან გასაუბრებით);
- სასურველი იყო მომხდარიყო პროგრამაში ჩართული პედაგოგების პირადი საქმეების გადახედვა და შევსება სამეცნიერო ნაშრომებისა და შემოქმედებითი აქტივობის სიით (კონკრეტულად ზაზა ჟორჟოლიანის და ელიზავეტა ბუაძის პირად მონაცემებში მითითებული იყო პუბლიკაციების რაოდენობა, თუმცა ჩამონათვალი არ იყო დართული).

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინტერიერისა და ტექსტილის დიზაინის დამატებითი პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის № 65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინტერიერისა და ტექსტილის დიზაინის დამატებით პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

5-ნ

12. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის კონსტრუირებისა და ტექნოლოგიის დამატებითი პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა
პროგრამის დასახელება: ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის კონსტრუირება და ტექნოლოგია
განათლების საფეხური: -
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: -
სწავლების ენა: ქართული
კრედიტების რაოდენობა: 60

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისათვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები საბჭოს წარუდგინეს ექსპერტებმა ნინო ღაღანიძემ და ნატო გენგიურმა.

- უნივერსიტეტი ყოველმხრივ უწყობდა ხელს თითოეული კომპონენტის სწავლის შედეგების მიღწევისათვის აუცილებელი სახელმძღვანელოების შემუშავებასა და გამოცემას ქართულ ენაზე. ამ მხრივ სტუდენტები უზრუნველყოფილი იყვნენ აუცილებელი სასწავლო რესურსით, თუმცა, სასურველი იყო აღნიშნული ბაზის შევსება თანამედროვე უცხოური ლიტერატურით, პერიოდული გამოცემებით, ენციკლოპედიებით და სხვა სასწავლო რესურსებით. ამგვარი სიახლე გარკვეულ წვლილს შეიტანდა პროგრამის ინტერნაციონალიზაციის საქმეშიც.
-

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის კონსტრუირებისა და ტექნოლოგიის დამატებითი პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის № 65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის კონსტრუირებისა და ტექნოლოგიის დამატებით პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდგომ 14:00 საათზე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე
ნათელა სახოკია

მდივანი
თუთა ნარმანია